მცირე და საშუალო ბიზნესის მნიშვნელობა საქართველოს რეგიონების განვითარებისთვის

ქეთი დორეული –
სტუ-ს დოქტორანტი

სოფლის მეურნეობის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის მცირე და საშუალო ბიზნესს და მის განვითარებას. მცირე და საშუალო ბიზნესი პირდაპირ კავშირშია საქართველოს რეგიონებში ცხოვრების დონის ამაღლებასთან. მნიშვნელოვნია განვიხილოთ ეს სფერო და ამ სფეროსთან დაკავშირებული საკითხები.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში, რომლისკენაც ჩვენი ქვეყანა მიისწრაფვის, განვითარებისა და მდიდარი საზოგადოების შესაქმნელად ერთ-ერთ და ძირითად გზას თავისუფალი მეწარმეობა და ბიზნესი წარმოადგენს. ამიტომაც ქვეყნაში ყველა პირობა უნდა შეიქმნას მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის, ვინაიდან, მცირე და საშუალო ბიზნესი საბაზრო ეკონომიკის არსებითი და განუყოფელი ნაწილია. იგი ეკონომიკის ის სექტორია, რომელიც კარგ გარემოში რეალურ შედეგს მოუტანს როგორც მის რეგიონებს, ისე მთლიანად ქვეყანას. ასეთ პირობებში აუცილებელია სწორი დასკვნის გაკეთება იმის თაობაზე, თუ რას ველით მცირე და საშუალო ბიზნესიდან. უნდა აღინიშნოს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესი ხელს უწყობს საბიუჯეტო შემოსავლების ზრდას, სოციალურ პრობლემათა მოგვარებას, რეგიონებიდან განსაკუთრებით კი მაღალმთიანი რაიონებიდან მიგრაციული პროცესების შეჩერებას და მრავალ სხვა ამოცანათა განხორციელებას. მთლიანობაში, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებიდან ჩვენ ველით ქვეყნის ეკონომიკურ აღმავლობას.

ბიზნესის განვითარება საქართველოში მჭიდროდ უკავშირდება ფინანსურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სხვა მნიშვნელოვანი ხასიათის ფაქტორებს. მათ არსში გარკვევა და პრაქტიკაში გამოყენება ბიზნესმენთა მიერ საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის აუცილებელი პირობაა. დღესდღეობით აქტიური მუშაობა მიმდინარეობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის, თუმცა ამ ეტაპზე წინსვლა არ შეიმჩნევა. ბიზნესის აღმავლობისთვის მნიშვნელოვანია როგორც სახელმწიფოს, ასევე საქართველოში არსებული საფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერა.

მცირე და საშუალო ბიზნესში იგულისხმება სხვადასხვა ტიპისა და სიდიდის საწარმოთა ერთობლიობა. მცირე და საშუალო კომპანიათა დასადგენად გამოიყენება სიდიდის, დასაქმების, აქტივებისა და შემოსავლების სხვადასხვა პარამეტრი. ქართული კანონმდებლობის საფუძველზე მცირე და საშუალო საწარმოები ასე განისაზღვრება:

- მცირე საწარმო – დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა არ აჭარბებს 20 თანამშრომელს და ყოველწლიური ბრუნვა არ აღემატება 500,000 ლარს.

- საშუალო საწარმო - დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა არ აჭარბებს 100 თანამშრომელს და ყოველწლიური ბრუნვა არ აღემატება 1,500,000 ლარს.

ზოგიერთი სახელმწიფო ხშირად ითხოვს დახმარებას მცირე და საშუალო საწარმოთა სექტორის მხარდასაჭერად, ვინაიდან იმედოვნებს, რომ ამ პოლიტიკით დაძლევს სიღარიბეს და მოხდება ეკონომიკური ზრდა. მიაჩნიათ,რომ გლობალიზაციისა და ტექნიკური პროგრესის ფონზე ადგილობრივი ბიზნესი შეიძლება ჩამორჩეს განვითარებას, თუ ასეთ საწარმოთა კონკურენტუნარიანობის გასაუმჯობესებლად არ მოხდება ხელშემწყობი ზომების მიღება.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, მცირე და საშუალო ბიზნესისათვის საბანკო სექტორთან ურთიერთობა ძალიან დიდ მნიშვნელობას ატარებს, როგორც მომსახურების ასევე სესხებისა და კრედიტების კუთხით. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ყველაზე განვითარებული ეკონომიკური სფერო საბანკო სექტორია. ბუნებრივია, ქართულ სამეწარმეო საქმის დღევანდელ

მდგომარეობაში საბანკო სექტორის წვლილი დიდია. დღესდღეობით ჩვენს ქვეყანაში არც თუ ისე ცოტა კომერციული ბანკი საქმიანობს. საქართველოში ფუნქციონირებს ადგილობრივი და უცხოური ბანკების 120 ფილიალამდე. მცირე ბიზნესისათვის საბანკო კრედიტები, შეიძლება ითქვას, სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, მისი განვითარება შეუძლებელია კაპიტალის გარეშე. მცირე ბიზნესში კაპიტალის შევსების ყველაზე მთავარი წყარო საბანკო კრედიტებია. ამაზეა დამოკიდებული მეწარმის წარმატებული სააქმიანობა, ანუ მეწარმის კეთილდღეობა. შეიძლება ითქვას, საქართველოში დასაქმების პრობლემის მოგვარებისა და სიღარიბის დაძლევის თემა პირდაპირაა დაკავშირებული საბანკო მომსახურებების სიტუაციასთან შესაბამისობასა და ხარისხთან. რაც შეეხება სახელმწიფოს, სახელმწიფო ძირითადი ინსტიტუციური ცვლიებებით და სახელმწიფო პროგრამებით უნდა უზრუნველყოფდეს მცირე და საშუალო მეწარმეობის, სოფლის მეურნეობის ხელშეწყობას. ამჟამად ქვეყნის კანონმდებლობაში არ არის განსხვავებული მცირე და საშუალო მეწარმეობა მსხვილი ბიზნესისაგან და არ არის არც ერთი ნორმატიული აქტი, რომელიც უპირატესად მცირე და საშუალო მეწარმეობას და მათი პრობლემების გადაჭრას შეეხებოდა. საქართველოში არსებობს უნიფიცირებული სისტემა, სადაც მცირე და საშუალო მეწარმეობა მსხვილ მეწარმეობასთან ერთად მოგების ერთნაირი დასაბეგრი რეჟიმით განისაზღვრება. მხოლოდ ის მეწარმეები, რომელთა წლიური შემოსავალი 100 ათას ლარს ან უფრო ნაკლებს შეადგენს, განთავისუფლდნენ დღგ-ის გადასახადიდან. მაგრამ ასეთი მხოლოდ მცირე მეწარმეების ნაწილია, რადგან კანონმდებლობით მცირე საწარმოებად ითვლება ის, რომლის შემოსავალი 500 ათას ლარზე ნაკლებია. ამდენად, ეს ზღვარი ძალიან დაბალია იმისათვის, რომ მცირე მეწარმეობას ჰქონდეს საგადასახადო ხელშეწყობა.

სახელმწიფოს როლს დიდი მნიშვნელობა ენიჭება მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში. მცირე ბიზნესის მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური როლის გამო, მსოფლიოს ყველა წამყვან ქვეყანაში მათ ხელს უწყობს სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებიც სპეციალურად მცირე ბიზნესის განვითარებისთვის არის დაფუძნებული. მცირე ბიზნესის სახელმწიფო ხელშეწყობა არ ნიშნავს ცუდად მომუშავე საწარმოს დახმარებას. სახელმწიფო მიმართულია იმ პრობლემების გადაჭრისკენ, რომლებიც საწარმოს მცირე შესაძლებლობების გამო წარმოიშვება და, შეიძლება ითქვას, არათანაბარკონკურენტულ პირობებში აყენებს მსხვილ საწარმოსთან მიმართებით. სახელმწიფომ მაქსიმალურად მხარი უნდა დაუჭიროს მცირე და საშუალო ბიზნესს, რათა შემოდგომ მოხდეს სოფლის მეურნეობის განვითარება. ამ საწარმოებში დასაქმდნენ ადგილობრივი რეგიონის მცხოვრები მოსახლეობა. ამ მხრივ შეჩერდება რეგიონებიდან მიგრაციის პრობლემა. ეს ყველაფერი კი გააძლიერებს საქართველოს ეკონომიკას და შევინარჩუნებთ უძველეს კულტურებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რეგიონები, ბიზნესი www.nplg.gov.ge/.../New%20Microsoft%20Word%20Document.pdf
2. პარლამენტის ბიბლიოთეკა www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0001/000352/ek.usafrTxoeba.pdf
3. ადამიანის უფლება მდგომარეობა www.ombudsman.ge/files/downloads/ge/rcdhxltppxuyaxakjjlc.pdf
4. ბიზნესი და კანონმდებლობა 2010 №17-რეგიონის განვითარების პროგრამების რეალიზაცია საქართველოში

http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00—off-0period—00-1—0-10-0—0—0prompt-10—4——0-1l—11-ru-50—20-help—00-3-1-00-0-0-11-1-0utfZz-8-10&cl=CL2.8&d=HASHd5e7c581a89755c2149bd9.16.1&x=1

5. საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა www.opendata.ge მთავრობის უცნობი განკარგულებები (თანხების გამოყოფა რეგიონების განვითარების ფონდიდან)
6. dspace.nplg.gov.ge

THE IMPORTANCE OF SMALL AND MEDIUM BUSINESSES FOR THE DEVELOPMENT OF GEORGIAN REGIONS

KATE DOREULI
A doctoral student of GTU

Georgia is considered as a transitional economy country, the development of small and medium businesses play an important role in the development of such countries. Consequent of my interest, article discusses the development of small and medium businesses in the agricultural spheres, how important is to support such business for Georgian regions. Strong region is one of the most important determinant of powerful country.

The separate regions' rehabilitation development programs and its implementation has a great importance for the maintenance of the country's economy and the stabilization. Its support is vitally important for the country's economy.

The article will be interesting for Georgian regions as well as for the small and medium businesses.

ЗНАЧЕНИЕ МАЛОГО И СРЕДНЕГО БИЗНЕСА ДЛЯ РАЗВИТИЯ РЕГИОНОВ ГРУЗИИ

КЕТИ ДОРЕУЛИ
Докторант ГТУ

Грузия считается страной переходной экономики, в развитии такой страны важную роль играет развитие малого и среднего бизнеса. Исходя из моего интереса, в статье рассмотрено развитие малого и среднего бизнеса по направлению сельского хозяйства, то, насколько важна для регионов Грузии поддержка малого и среднего бизнеса. Сильный регион ведь является одним из важных определяющих сильной страны.

Для развития экономики страны и сохранения её стабилизации огромное значение имеет разработка и реализация региональных программ реабилитации отдельных регионов, поддержка которых является жизнено важной для развития экономики страны.

Статья будет интересна, как для регионов Грузии, так и для малых и средних предпринимателей.